სს ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 6

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 7

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 8

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 10
2. მომზადების საფუძვლები 10
3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო შეფასებები და მსჯელობები 12
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 12
5. ძირითადი საშუალებები 16
6. არამატერიალური აქტივები 17
7. მარაგები 17
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 18
9. ფული და ფულის ეკვივალენტები 18
10. საკუთარი კაპიტალი და დამფუძნებელთან ოპერაციების რეზერვი 19
11. სესხები 19
12. ანარიცხები 20
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 20
14. ამონაგები 20
15. სხვა საოპერაციო ხარჯები 20
16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 21
17. პირობითი ვალდებულებები 21
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 21
19. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკა 22

მმართველობის ანგარიშგება 27

ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას

აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოსაზრება

ჩვენ სს ბორჯომი-ლიკანი ინტერნეიშენალის (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე “. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე,

შპს ბიდიო აუდიტი (ს/კ 205145403) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, აუდიტორის დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგრიშგებასთან და მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგრიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

იგანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის" სახელით

თბილისი, საქართველო

5 ივლისი 2021

სს ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თათს ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	35,033	15,614
არამატერიალური აქტივები	6	87	-
		35,120	15,614
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	630	376
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	985	1,916
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	2,278	3,764
		3,893	6,256
სულ აქტივები		39,013	21,870
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	51,145	51,145
დაფუძნებელთან ოპერაციების რეზერვი	10	(23,647)	(23,647)
დაგროვილი ზარალი		(85,814)	(81,256)
		(58,316)	(53,758)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	11	72,344	73,464
		72,344	73,464
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ანარიცხი	12	875	875
სესხები	11	23,571	684
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	539	605
		24,985	2,164
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		39,013	21,870

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2021 წლის 5 ივლისს შემდეგი პირების მიერ

დირექტორი _____ ლიზა ამელიძე

ფინანსური დირექტორი _____ ხატია ანთელიძე

სს ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	14	4,247	11,407
პერსონალის ხარჯი		(2,292)	(3,362)
მარაგების ხარჯი		(1,041)	(2,300)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,560)	(1,550)
სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(1,502)	(1,971)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		**(2,148)**	**2,224**
წმინდა ფინანსური ხარჯი		(10,531)	(9,160)
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან		(12,594)	(3,079)
გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების აღდგენა	5	20,715	-
წმინდა სხვა შემოსავალი		-	103
სრული ზარალი		**(4,558)**	**(9,912)**

10 - 26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

სს ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	საქციო კაპიტალი	დამფუძნებელთან ოპერაციების რეზერვი	დაგროვილი ზარალი	სულ
31 დეკემბერი 2018	51,145	5,926	(71,344)	(14,273)
სრული ზარალი	-	-	(9,912)	(9,912)
კაპიტალის შემცირება	-	(29,573)	-	(29,573)
31 დეკემბერი 2019	51,145	(23,647)	(81,256)	(53,758)
სრული ზარალი	-	-	(4,558)	(4,558)
31 დეკემბერი 2020	51,145	(23,647)	(85,814)	(58,316)

10 - 26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

სს ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		(4,558)	(9,912)
კორექტირებები:		-	-
ცვეთა და ამორტიზაცია	4;5	1,560	1,550
გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების აღდგენა	5	(20,715)	-
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	15	10	12
მოგება ვალდებულების აღიარების შეწყვეტიდან		-	(103)
წმინდა ფინანსური ხარჯი		10,531	9,160
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან		12,594	3,079
		(578)	**3,786**
მარაგების (ზრდა)/შემცირება		(54)	77
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		904	(669)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(76)	43
ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		**196**	**3,237**
გადახდილი პროცენტი	11	(1,133)	(1,354)
წმინდა ფულადი სახსრების საოპერაციო საქმიანობიდან		**(937)**	**1,883**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(244)	(42)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(107)	-
მიღებული პროცენტი		93	100
კაპიტალის გატანა	10	-	(20,091)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(258)**	**(20,033)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		-	-
სესხის აღება	11	-	20,153
სესხის დაფარვა	11	(740)	(333)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		**(740)**	**19,820**
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		**(1,935)**	**1,670**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	**3,764**	**2,142**
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა		449	(48)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	9	**2,278**	**3,764**

10 - 26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი“ (შემდგომში კომპანია) 2011 წლის 1 ოქტომბერს შპს „კმგ-სერვის ჯორჯია“ და სს „საპარტნიორო ფონდს“ შორის გაფორმებული ჩარჩო ხელშეკრულების საფუძველზე დაარსდა. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, თამარ მეფის გამზ.15.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მომხმარებლებისათვის 5 ვარსკვლავიანი სასტუმროს მომსახურების სერვისის მიწოდება სასტუმროს 151 ოთახით, გამაჯანსაღებელი ცენტრის მომსახურების მიწოდება, რომელიც მოიცავს სამედიცინო-სამკურნალო მომსახურებას და სპას. კომპანიის სასტუმრო მდებარეობს ბორჯომში. 2018 წლიდან სასტუმრო საქმიანობს ბორჯომი ლიკანის სახელით.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციების 100%-ს ფლობს სს „საპარტნიორო ფონდი“.

2. მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. მონაცემები დამრგვალებულია ათას ლარამდე, გარდა მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მონაცემებისა, რომელიც დამრგვალებულია ნულამდე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ) ფუნქციონირებადი საწარმო

მარტის თვიდან კომპანიამ დროებით შეაჩერა საოპერაციო საქმიანობა და დახურა სასტუმრო საქართველოს მთავრობის მიერ COVID-19 პანდემიის გავრცელების შემცირების მიზნით გამოცემული მითითებისა და ბრძანებების შესაბამისად. ამ მოვლენებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს კომპანიის შემოსავლებზე, საოპერაციო შედეგებსა და ფულადი სახსრების შემოდინებაზე. დაწესებული რეგულაციები და შეზღუდვების გათვალისწინებით სასტუმროს საქმიანობა კომპანიამ განაახლა 2020 წლის ივნისში. კომპანიამ გადადგა რამდენიმე დაუყოვნებელი ნაბიჯი ოპერაციული ხარჯების შემცირებისა და ფულადი სახსრების შესანარჩუნებლად. კომპანიამ წარმატებით განახორციელა ხარჯების ოპტიმიზაცია. 2020 წლის განმავლობაში სესხის ძირი და პროცენტის გადაიხადა სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად და არ დამდგარა რესტრუქტურიზაციის საჭიროება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის კომპანიას აქვს საკმარისი ფინანსური რესურსი, რათა დაფაროს სესხები და სხვა ფინანსური ვალდებულებების მომავალი ერთი წლის განმავლობაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განავითაროონ კომპანია საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა კომპანიის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების შეწყვეტა. შეფასებისას გაითვალისწინეს COVID-19 პანდემიის გავლენის ანალიზი კომპანიის საქმიანობაზე, ლიკვიდურობასა, და დაფინანსებაზე. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2020 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2020 წლის პირველი იანვრიდან ძალაში რამდენიმე ახალი ინტერპრეტაცია და შესწორებები, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7);
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათები (ცვლილებები ფასს 16-ში);
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება); და
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც კომპანიან გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად. 2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა კომპანიას უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1-ლ იანვრამდე.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალო ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

3.2 გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

კომპანია პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.3 ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო და საგადასახადო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.4 ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად, კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები - როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები. ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტების ძირითად კატეგორიებს.

	2020	2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	41	300
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,278	3,764
სულ ფინანსური აქტივები	**2,319**	**4,064**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	249	313
სესხები	95,915	74,148
სულ ფინანსური ვალდებულებები	**96,164**	**74,461**

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპერიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპერიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით ან აქვს მცოცავი საპროცენო განაკვეთი, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

დაკავშირებული მხარეებიდან მიღებული სესხების მესამე დონის მიხედვით, შეფასებული რეალური ღირებულება, რომელიც უახლოვდება მათ აბალანსო ღირებულებას, ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი სესხებისთვის მერყეობს 15%-დან 16%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს.

ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების მეორე დონის მიხედვით, შეფასებული რეალური ღირებულება, რომელიც უახლოვდება მათ აბალანსო ღირებულებას, ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი სესხებისთვის მერყეობს 5%-დან 6%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სავაჭრო მოთხოვნების და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდითა და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა იღებს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს არანაირ დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სავალუტო რისკის ანალიზს.

	2020		2019	
	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,215	-	933	-
სესხები	72,344	23,571	54,695	19,453
წმინდა სავალუტო პოზიცია	**(70,129)**	**(23,571)**	**(53,762)**	**(19,453)**

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. ცხრილი გვიჩვენებს გავლენას წმინდა მოგებაზე.

	2020		2019	
	+ 20%	- 20%	+ 20%	- 20%
აშშ დოლარი/ ლარი	(14,026)	14,026	(10,752)	10,752
ევრო / ლარი	(4,714)	4,714	(3,891)	3,891

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანიას არ აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლსა და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას. მაღალრისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობას.

	2020	2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	41	300
ფული და ფულის ეკვივალენტები გარდა ნაღდი ფულისა	2,268	3,735
სულ	**2,309**	**4,035**

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით.

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	249	-	-	249
სესხები დაკავშირებული მხარისგან	-	-	525,167	525,167
სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან	2,085	13,988	14,895	30,968
სულ 2020	**2,334**	**13,988**	**540,062**	**556,384**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	313	-	-	313
სესხები დაკავშირებული მხარისგან	-	-	459,448	459,448
სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან	1,663	11,443	13,261	26,367
სულ 2019	**1,663**	**11,443**	**13,261**	**486,128**

5. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობები	დანადგარები, აღჭურვილობა	ავტო ტრანსპორტი	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სულ
31.12.2018	**15,811**	**41,415**	**1,758**	**244**	**12,197**	**71,425**
შემოსვლა	-	-	3	-	39	42
დამფუძნებელზე გაცემა	(9,482)	-	-	-	-	(9,482)
31.12.2019	**6,329**	**41,415**	**1,761**	**244**	**12,236**	**61,985**
შემოსვლა	-	23	-	215	6	244
31.12.2020	**6,329**	**41,438**	**1,761**	**459**	**12,242**	**62,229**
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება						
31.12.2018	**-**	**(36,632)**	**(888)**	**(143)**	**(7,172)**	**(44,835)**
პერიოდის ცვეთა	-	(111)	(176)	(25)	(1,224)	**(1,536)**
გაუფასურება	-	-	-	-	-	-
31.12.2019	**-**	**(36,743)**	**(1,064)**	**(168)**	**(8,396)**	**(46,371)**
პერიოდის ცვეთა	-	(111)	(176)	(29)	(1,224)	**(1,540)**
გაუფასურების აღდგენა	-	20,715	-	-	-	**20,715**
31.12.2020	**-**	**(16,139)**	**(1,240)**	**(197)**	**(9,620)**	**(27,196)**
საბალანსო ღირებულება						
31.12.2019	**6,329**	**4,672**	**697**	**76**	**3,840**	**15,614**
31.12.2020	**6,329**	**25,299**	**521**	**262**	**2,622**	**35,033**

კომპანიამ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩაატარა გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების ტესტი. მთლიანი სასტუმრო კომპლექსი კლასიფიცირდა როგორც ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთი ერთეული. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება, რომელიც უტოლდება მის გამოყენების ღირებულებას და აღემატება წინა პერიოდში გაუფასურებით შემცირებულ საბალანსო ღირებულებას, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შეადგენს 35,120 ათას ლარს,

კომპანიამ გაზარდა შენობა-ნაგებობების საბალანსო ღირებულება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე და აღიარა გაუფასურების აღდგენა მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. აღდგენილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა წინა წლებში აქტივებზე გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული (შენობა- ნაგებობები 33,595 ათასი ლარი, არამატერიალური აქტივები ნული ლარი).

გრძელვადიანი აქტივების დანარჩენი ჯგუფების გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება აღემატება მათ საბალანსო ღირებულებას და არ წარმოადგენს გაუფასურებულს.

კომპანიამ გამოყენების ღირებულება გაიანგარიშა მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით. შემდეგი ძირითადი დაშვებებია გამოყენებული მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშების პროცესში:

- ფულადი ნაკადების გაანგარიშების მიზნებისთვის, ხელმძღვანელობამ სასტუმროს ყველა ძირითადი საშუალება განიხილა როგორც ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთი ერთეული, რადგან ისინი ურთიერთდამოკიდებულია და გონივრულობის საფუძველზე, შეუძლებელია ფულადი ნაკადების არსებითი ნაწილების თითოეულ აქტივზე გადანაწილება;
- სასტუმროს მომავალი ფულადი ნაკადების პროგნოზი გაკეთებულია წარსულში ფაქტობრივი საოპერაციო შედეგებისა და შეფასების თარიღისთვის არსებულ ბიზნეს გეგმაზე დაყრდნობით;
- მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გამოყენებულია კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება მოგების გადასახადის გადახდამდე, რომელიც შეადგენს 12.4%-ს (2019 - 15.18%);
- ფულადი ნაკადები შეფასებულია 3 წლიანი საპროგნოზო პერიოდისთვის. რომლის შემდეგ მიმდინარე ღირებულების გაანგარიშებისთვის გამოყენებულია გრძელვადიანი ზრდის ტემპი 2.2% (2019 – 2%);

5. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

შეფასებაში გამოყენებული ძირითადი დაშვებები ემყარება ინფორმაციის შიდა და გარე წყაროებს და წარმოადგენს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასებას. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებაზე არსებით გავლენას ახდენს დისკონტირების განაკვეთი და გრძელვადიანი ზრდის ტემპი. ქვემოთ მოცემილი ცხრილი გვიჩვენებს აღნიშნული განაკვეთების ცვლილების გავლენას ანაზღაურებად ღირებულებაზე.

	დისკონტის განაკვეთი		ზრდის ტემპი	
	ზრდა 1%-ით	კლება 1%-ით	ზრდა 1%-ით	კლება 1%-ით
2020	(3,589)	4,528	3,278	(2,692)
2019	(1,374)	1,622	1,231	(1,077)

ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს 1 ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი. რეალურად, ცვლადები ერთმანეთთან გარკვეულ კორელაციურ კავშირშია და ერთი ცვლადის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა დანარჩენზე. ცვლადებს შორის ურთიერთობა არ არის წრფივი და მცირე ან დიდი ცვლილება შეიძლება არ იყოს გამოსადეგი შედეგების ექსტრაპოლაციისთვის. მოცემული მგრძნობელობის ანალიზი დამატებით შეზღუდულია იმით, რომ დაშვება არის ჰიპოტეთური დემონსტრაციისთვის და წარმოადგენს კომპანიის მოსაზრებას შესაძლო ცვლილებაზე. რეალურად ბაზრის სამომავლო ცვლილება შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს.

ძირითადი საშუალებები სრულად წარმოადგენს თიბისი ბანკისგან აღებული სესხების უზრუნველყოფას.

6. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	პროგრამები
31.12.2018	**464**
31.12.2019	**464**
შემოსვლა	107
31.12.2020	**571**
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება	
31.12.2018	**(450)**
ამორტიზაცია	(14)
31.12.2019	**(464)**
ამორტიზაცია	(20)
31.12.2020	**(484)**
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31.12.2019	-
31.12.2020	**87**

7. მარაგები

	2020	2019
საკვები და სასმელი მარაგები	299	305
სტუმრებისთვის განკუთვნილი მარგები	170	146
სხვა	161	125
სულ	**630**	**576**

მარაგები სრულად წარმოადგენს თიბისი ბანკისგან აღებული სესხების უზრუნველყოფას.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019
სავაჭრო მოთხოვნები სასტუმროს ოპერაციიდან	348	597
გაუფასურების რეზერვი	(307)	(297)
წმინდა ფინანსური მოთხოვნები	**41**	**300**
გადახდილი ავანსები	39	55
წინასწარ გადახდილი გადასახადები	905	1,561
სულ მოთხოვნები	**985**	**1,916**

კომპანია იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება კომპანიის ბოლო სამი წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი დაკორექტირდა არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის მომხმარებლებზე. კომპანია ითვალისწინებს მთლიანი შიდა პროდუქტის, უმუშევრობის და ინფლაციის დონეს, როგორც ძირითად მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, იმ ქვეყნისთვის სადაც კომპანია საქმიანობს. კომპანია 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მოთხოვნებისთვის ქმნის 100% რეზერვს. ცხრილი გვიჩვენებს სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის ანარიცხს.

		2020	2019	2020	2019
	განაკვეთი	მოთხოვნის ნაშთი		გაუფასურების რეზერვი	
მიმდინარე	1%	41	233	-	(2)
30 დღეზე ნაკლები	10%	-	57	-	(6)
31-90 დღის	30%	-	26	-	(8)
90 დღეზე მეტი	100%	307	281	(307)	(281)
		348	**597**	**(307)**	**(297)**
გაუფასურების რეზერვი		(307)	(297)		
წმინდა მოთხოვნები		**41**	**300**		

ცხრილი გვიჩვენებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობას.

	2020	2019
ბალანსი წლის დასაწყისში	(297)	(285)
მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯი	(10)	(12)
სულ 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(307)**	**(297)**

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2020	2019
ფული ბანკის მიმდინარე ანგარიშზე	2,268	3,735
ფული სალაროში	10	29
სულ	**2,278**	**3,764**

10. სააქციო კაპიტალი და დამფუძნებელთან ოპერაციების რეზერვი

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნებადართული აქციები მოიცავს 30,593 ათას ჩვეულებრივ აქციას. 1 აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 აშშ დოლარს. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ყველა აქცია იყო გამოშვებული და სრულად ანაზღაურებული. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის ბენეფიციარი მფლობელი არის საქართველოს სახელმწიფო.

დამფუძნებელთან ოპერაციები, რომელიც არ ახდენს გავლენას კომპანიის მიერ გამოშვებული და სრულად ანაზღაურებული აქციების მოცულობაზე აღირიცხება კაპიტალში დამფუძნებელთან ოპერაციების რეზერვის ანგარიშზე. ცხრილი გვიჩვენებს დამფუძნებელთან ოპერაციების რეზერვის რეკონსილაციას.

	2020	2019
საბაზროზე დაბალპროცენტიანი სესხის ეფექტი	5,926	5,926
მიწის გადატანა კაპიტალიდან	(9,482)	(9,482)
ფული და ფულის ეკვივალენტების გატანა კაპიტალიდან	(20,091)	(20,091)
31 დეკემბერი	**(23,647)**	**(23,647)**

2019 წელს დამფუძნებელმა კომპანიის კაპიტალიდან გაიტანა არასაოპერაციო მიწა და ფული და ფულის ეკვივალენტები. ოპერაციის შედეგად არ შეცვლილა კომპანიის მიერ გამოშვებული აქციების რაოდენობა და ნომინალური ღირებულება. შესაბამისად, ოპერაციის ეფექტი აღირიცხვა განცალკევებული რეზერვის ანგარიშზე.

11. სესხები

	2020		2019	
	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
სს საპარტნიორო ფონდი	-	72,344	-	54,695
სს თიბისი ბანკი	23,571	-	684	18,769
სულ	**23,571**	**72,344**	**684**	**73,464**

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სესხების რეკონსილაცის.

	2020	2019
1 იანვარი	74,148	43,477
სესხის მიღება	-	20,153
საპროცენტო ხარჯი	10,624	9,260
გადახდილი პროცენტი	(1,133)	(1,354)
გადახდილი ძირი	(740)	(333)
საკურსო სხვაობა	13,016	2,945
31 დეკემბერი	**95,915**	**74,148**

2019 წელს კომპანიამ აიღო სესხი სს „თიბისი ბანკისგან". სს „საპარტნიორო ფონდისგან" მიღებული სესხი გახდა სუბორდინირებული სს „თიბისი ბანკისგან" მიღებული სესხის მიმართ. სუბორდინირებული სესხები უნდა დაიფაროს 2034 წელს უპირატესი სესხების დაფარვიდან 1 თვეში. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე არსებული და სამომავლოდ შესაძენი მოძრავი და უძრავი აქტივები წარმოადგენს კომპანიის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფას.

კომპანიის მიერ სს „თიბისი ბანკისგან" მიღებული სესხის ხელშეკრულებa შეიცავს ფინანსურ და არაფინანსურ შეზღუდვებს. ძირითადი ფინანსური შეზღუდვა უკავშირდება ICR კოეფიციენტს, რომელიც არ უნდა იყოს ნაკლები 2,0-ზე. ICR კოეფიციენტი იანგარიშება როგორც კომპანიის საოპერაციო მოგება EBITDA-კაპიტალური დანახარჯი შეფარდებული კომპანიის მიერ პერიოდის მანძილზე გადასახდელ საპროცენტო ხარჯთან. კომპანია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ კოეფიციენტს. კოეფიციენტის დარღვევის შემთხვევაში გამსესხებელს წარმოექმნება უფლება და არა ვალდებულება მოითხოვოს სესხების სრული ან ნაწილობრივ დაფარვა ვადაზე ადრე, შესაბამისად, სს „თიბისი ბანკისგან" მიღებული სესხების გრძელვადიანი ნაწილი 22,671 ათასი ლარი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია მიმდინარე ვალდებულებებში. ხელმძღვანელობის პროგნოზებზე დაყრდნობით კომპანია შეძლებს დარღვეული ფინანსური შეზღუდვების გამოსწორებას 2021 წლის ბოლომდე. ხელმძღვანელობას შეფასებით სს „თიბისი ბანკი" კომპანიისგან არ მოითხოვს სესხების ვადაზე ადრე ნაწილობრივ ან სრულ დაფარვას და აღნიშნული არ უკავშირდება მნიშვნელოვან განუსაზღვრელობას.

12. ანარიცხები

	2020	2019
საგადასახადო დავის ანარიცხი	736	736
შრომითი დავის ანარიცხი	139	139
სულ	**875**	**875**

კომპანია ჩართულია შრომითი ურთიერთობით გამოწვეულ სასამართლო დავაში და საგადასახადო დავაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული ანარიცხი წარმოადგენს დირექტორის საუკეთესო შეფასებას, რომელიც ეფუძნება შესაბამისი დარგის ექსპერტის მოსაზრებას. განუსაზღვრელია კომპანია წარმატებული იქნება თუ არა მისი პოზიციის დაცვაში. დავის ხასიათიდან გამომდინარე, დირექტორი არ განმარტავს დამატებითი ინფორმაციას გამომდინარე იქიდან, რომ ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში ასახვამ შესაძლებელია მნიშვნელოვნად დააზარალოს კომპანია მოცემული დავის განხილვისას. ანარიცხის მოცულობა წარმოადგენს დავის თანხის მაქსიმალურ მოცულობას.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2020	2019
სავაჭრო ვალდებულებები	249	313
საკონტრაქტო ვალდებულება	290	292
სულ	**539**	**605**

14. ამონაგები

	2020	2019
ამონაგები ოთახების გაქირავებიდან	3,190	9,129
ამონაგები ბანკეტებიდან და სხვა ღონისძიებიდან	214	642
დამატებით ამონაგები საკვების რეალიზაციიდან	271	419
დამატებით ამონაგები სასმლის რეალზიაციიდან	153	277
სხვა	419	940
სულ	**4,247**	**11,407**

ცხრილი გვიჩვენებს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აღიარებულ ამონაგებს, რომელიც მოიცავს შესადარის პერიოდში აღიარებული სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას.

	2020	2019
1 იანვარი	**292**	**373**
აღიარებული ამონაგები	(247)	(316)
აღიარებულ ამონაგებთან დაკავშირებული გადასახადი	(45)	(57)
მიღებული ავანსი გადასახადის ჩათვლით	290	292
31 დეკემბერი	**290**	**292**

15. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2020	2019
კომუნალური ხარჯი	(602)	(785)
ქონების გადასახადის ხარჯი	(312)	(222)
პროფესიული მომსახურების ხარჯი	(171)	(103)
დაჯავშნის საკომისიო	(45)	(220)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	(10)	(12)
სხვა	(362)	(629)
სულ	**(1,502)**	**(1,971)**

სხვა ხარჯი 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მოიცავს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მომსახურების ხარჯს, რომელიც შეადგენს 48 ათას ლარს (2019 – 48 ათასი ლარი).

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	2020	2019
სესხები დამფუძნებლებისგან	72,344	54,695
საპროცენტო ხარჯი დამფუძნებლისგან მიღებულ სესხზე	(9,449)	(8,679)
გადახდილი პროცენტი დამფუძნებლის სესხზე	-	(806)

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შეადგენდა 158 ათას ლარს (2019 – 191 ათასი ლარი).

კომპანია გათავისუფლებულია ინფორმაციის გამჟღავნებისგან თუ დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები და დაუფარავი ნაშთები, მათ შორის ვალდებულებები, ეხება:

- საქართველოს სახელმწიფოს, რომელიც აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს, ან მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ანგარიშვალდებულ საწარმოზე; და
- სხვა საწარმოს, რომელიც არის დაკავშირებული მხარე იმიტომ, რომ საქართველოს სახელმწიფო აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოსაც და მეორე საწარმოსაც, ან მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ორივე მათგანზე.

კომპანია განმარტავს დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციებს:

- თითოეული ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ოპერაციისთვის და
- სხვა ოპერაციებისთვის, რომლებიც მნიშვნელოვანია ერთობლივად, მაგრამ არა ცალცალკე .

17. პირობითი ვალდებულებები

სახელშეკრულები ვალდებულებები - 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს არსებითი აუღიარებელი სახელშეკრულებო ვალდებულებები.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი დარიცხული აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ; საქართველოს მთავრობის მიერ 2021 წლის 6 იანვარს გამოცემული დადგენილები მიხედვით, კომპანია გათავისუფლდა 2020 წლის ქონების გადასახადისგან, რომლის მოცულობამაც შეადგინა 312,000 ლარი.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

19.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის ანგარიშებზე.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკურსო მოგება და ზარალი წარდგენილია მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო სიდიდით. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

19.2 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე "კონტროლი" მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

კომპანიის ამონაგების ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის სასტუმროს და მასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდება. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა ამონაგების მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

ამონაგები რეგულარული მომსახურების მიწოდებიდან, როგორიც არის სასტუმროს მომსახურება, სპა და სპორტული დარბაზით სარგებლობა და სხვა დაკავშირებული მომსახურებები, აღიარდება დროთა განმავლობაში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველდღიური ღირებულების შესაბამისად.

ამონაგები საკვები და სასმელის მიწოდებიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა. აქედან გამომდინარე, ამონაგების აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც ფიზიკური მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის ამონაგების ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები ამონაგების განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულფასიანი. დიდი მოცულობის შეკვეთის შემთხვევაში ფასდაკლების შეთავაზებისას, ოპერაციის ფასი ერთეული პროდუქტისთვის გაიანგარიშება მთლიანი საკონტრაქტო ღირებულების გაყოფით აქტივის რაოდენობაზე. როდესაც მომხმარებელი უკვეთავს ერთზე მეტ პროდუქტს, კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს თითოეულ პროდუქტზე ანაწილებს მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის მიხედვით (ყველა პროდუქცია შეიძლება გაიყიდოს ცალკე).

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

19.3 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

19.4 გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული გათავისუფლების გამოკლებით. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

19.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისთვის. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ცხრილი გვიჩვენებს ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებს.

	წელი
შენობა-ნაგებობები	50
დანადგარები და სხვა აღჭურვილობა	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	10
ავეჯი და სხვა აღჭურვილობა	3-10

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფს ცვეთა ერიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

19.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად. არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 5 წელს. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

19.7 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის

ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად, სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებსა და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

19.8 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავებისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

19.9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს,

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო ვალდებულებებს და სხვა მოკლევადიან ფინანსურ ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთგადაფარვა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

19.10 სააქციო კაპიტალი

კომპანიის ნებადართული სააქციო კაპიტალი განისაზღვრება აქციონერების მიერ. გამოშვებული და სრულად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალი აღიარდება აქციონერებისგან მიღებული თანხის ნომინალური ღირებულებით.

19.11 იჯარა

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს. კომპანიას არ აქვს გრძელვადიანი იჯარები.

19.12 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

19.13 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

სს ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2020 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი:

მმართველობის ანგარიშგების შემადგენელი ინფორმაცია

კომპანიის საქმიანობის აღწერა და ძირითადი მაჩვენებლები 29
კომპანიის სტრატეგია და მიზნები 30
კომპანიის ძირითადი მიღწევები და ფინანსური შედეგების მიმოხილვა 30
კომპანიის მმართველობა და სტრუქტურა 31
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები 32

სს ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

კომპანიის საქმიანობის აღწერა და ძირითადი მაჩვენებლები

სს „ბორჯომი ლიკანი ინტერნეიშენალი“ დაფუძნდა 2011 წლის 1 ოქტომბერს სს „საპარტნიორო ფონდი“-სა და შპს „კმგ-სერვის საქართველო“-ს შორის დადებული ჩარჩო ხელშეკრულების საფუძველზე.

2015 წლის იანვრის თვეში საზოგადოების კუთვნილი სასტუმრო კომპლექსი ექსპლუატაციაში შევიდა. საზოგადოების მთავარ საქმიანობას წარმოადგენს სასტუმროს ოპერირება და მომხმარებლებისათვის ხუთ ვარსკვლავიანი სასტუმრო მომსახურების მიწოდება, ასევე სპა და სამედიცინო-გამაჯანსაღებელი სერვისების შეთავაზება.

2017 წლის მიწურულამდე სასტუმრო კომპლექსის ოპერირებას მართვის შეთანხმების ფარგლებში უზრუნველყოფდა FINE OTEL TURIZM IŞLETMECİLİK A.Ş. „RIXOS“ ბრენდის ქვეშ. 2018 წლიდან სასტუმრომ გააგრძელა ოპერირება „ბორჯომი ლიკანის“ დასახელებით. 2018 წლის მეორე ნახევრიდან სს „საპარტნიორო ფონდი“ გახდა კომპანიის 100% წილის მფლობელი.

დღესდღეობით სასტუმრო ოპერირებს საკუთარი სახელით, მის საკუთრებაში არსებულ შენობაში, რომელიც განთავსებულია ლიკანში ისტორიულ საკურორტო ადგილას. შენობის პირველ და ბოლო სართულებზე განთავსებულია რესტორნები: „ბორჯომი ლიკანი“ – 250 სტუმრის ადგილით და „ბაგრატიონი“ – 50 სტუმრის ადგილით. ასევე შენობის -1 სართულზე ფუნქციონირებს 4 საკონფერენციო დარბაზი და დიდი ბოლრუმი. 2018 წლის მეორე ნახევარში გაიხსნა „ბუნგალო“, სადაც სტუმრებს შესაძლებლობა აქვთ დაისვენონ ბუნებაში და ასევე დააგემოვნონ საკუთარი მომზადების ქართული კერძები (2019 წლიდან მასტერკლასები), რაც უზრუნველყოფს დამატებით ამონაგებს.

სასტუმრო „ბორჯომი ლიკანი“ ოპერირებს საკურორტო სასტუმროების ბაზრის სეგმენტში, როგორც ადგილობრივი (არა უცხოური ბრენდი) მაღალი კლასის 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო. სასტუმროში განთავსებულია 151 სხვადასხვა ზომისა და კატეგორიის ნომერი. კომპანია ახორციელებს, როგორც სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მომსახურების მიწოდებას, ასევე სასტუმროსთვის დამახასიათებელი სხვა დამატებით მომსახურებების გაწევასაც.

კომპანიას დადგენილი აქვს ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები, რომლის საფუზველზეც აანალიზებს კომპანიის საქმიანობის შედეგებს. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
საშუალო წლიური დატვირთულობა (Room Occupancy) *	21%	53%
საშუალო ამონაგები ერთ სტუმარზე **	190	216
სტუმრების რაოდენობა (bed night)	22,306	52,903
გაყიდული ოთახები (Rooms sold)	11,686	28,939
ნომრის საშუალო დღიური ღირებულება (ADR) ***	272	315
ამონაგები ერთ ნომერზე (Revpar) ****	59	168
ამონაგები სასტუმროდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან	1,829,913	5,656,757
ამონაგები რესტორნიდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან	2,025,025	5,097,058
სპა&სამედიცინო და სხვა	391,947	653,185

* სასტუმროს გაყიდულ ოთახების რაოდენობა / წლიურად ხელმისაწვდომი ოთახების რაოდენობაზე

** ამონაგები სასტუმროდან და მასთან დაკავშირებული მომსახურებიდან / სტუმრების რაოდენობაზე;

*** ნომრის საშუალო დღიური ღირებულება (ADR): ამონაგები ოთახების გაქირავებიდან / გაყიდული ოთახების რაოდენობაზე

**** ამონაგები ერთ ნომერზე (Revpar) : ამონაგები ოთახების გაქირავებიდან / წლიური ოთახების რაოდენობაზე.

კომპანიის სტრატეგია და მიზნები

კომპანიის ხელმძღვანელობასა და მის დამფუძნებელს სურვილი აქვთ სასტუმრო განავითარონ სამედიცინო ტურიზმის მიმართულებით. კომპანია აქტიურად ადევნებს თვალს სასტუმრო, სარესტორნო და სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ბაზარზე განვითარებულ მოვლენებს და ახალ ტენდენციებს.

კომპანიის მიზანია კომფორტული ატმოსფერო შეუქმნას, როგორც სასტუმროს სტუმრებს, ასევე რესტორნების მომხმარებლებს. ატმოსფეროს, რომელიც პასუხობს მათ მოთხოვნებს. ამ სტრატეგიით მუშაობა კი, ახალი იდეების რეალიზაციისა და შემდგომი განვითარების საწინდარი ხდება.

კომპანიის აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ტურისტულ კომპანიებთან, სასტუმრო გაწევრიანებულია მსხვილ საერთაშორისო ელექტრონული დაჯავშნის პორტალებზე (Booking.com, Expedia.com, Hotelbeds….). ასევე სასტუმროს მჭიდრო ურთიერთობა აქვს სხვადასხვა სახელმწიფო, თუ კერძო ორგანიზაციებთან, მათთან ჩამოსული სტუმრებისთვის სასტუმრო, საკონფერენციო თუ სარესტორნო მომსახურების გასაწევად. ამ ეტაპზე სასტუმროს ხელმძღვანელობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სასტუმროს ცნობადობის ამაღლება, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ბაზარზე. ხელმძღვანელობის იმედოვნებს, რომ ცნობადობის ამაღლება და სანდო პარტნიორის სახელის დამკვიდრება ხელს შეუწყობს იმ სტუმრების წილის ზრდას, რომლებიც ნომრის დაჯავშნას განხორციელებენ სასტუმროს ვებ-გვერდის გამოყენებით, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს შუამავლებისთვის გადახდილ საკომისიო თანხების შემცირებას.

კომპანიის საკუთრებაში არსებული რესტორნები მომსახურებას უწევენ, როგორც სასტუმროსა და საკონფერენციო დარბაზების სტუმრებს, ასევე ნებისმიერ მსურველს. აღსანიშნავია რომ, საკმარისზე მეტად გაჯერებულ სარესტორნო მომსახურების ბაზარზე კომპანია თავის დამკვიდრებას ცდილობს ეკოლოგიურად სუფთა და უმაღლესი ხარისხის პროდუქციისგან, პროფესიონალი მზარეულების მიერ დამზადებული კერძების საშუალებით. კომპანიის სამზარეულო სრულად აკმაყოფილებს HACCP სტანდარტებს. ასევე კომპანია აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს, როგორც ინსტრუმენტს ბრენდის ცნობადობისა და გაყიდვების ზრდისათვის.

კომპანიის ძირითადი მიღწევები და ფინანსური შედეგების მიმოხილვა

2020 და 2019 წელს კომპანია ოპერირებდა ბრენდის გარეშე, რის გამოც მოსალოდნელი იყო ფინანსური მაჩვენებლების გაუარესება. გარდამავალი პერიოდის თანმხლები ცვლილებების მიუხედავად, 2017 წელთან შედარებით საოპერაციო საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა:

	2020	2019
ხელმისაწვდომი ოთახების რაოდენობა	54,360	54,360
გაყიდული ოთახების რაოდენობა	11,686	28,939
სასტუმროს ოთახების საშუალო წლიური დატვირთულობა*	21%	53%
ნომრის საშუალო დღიური ღირებულება (ADR) კვებით**	272	315
ნომრის საშუალო დღიური ღირებულება (ADR) კვების გარეშე***	157	195
ამონაგები ოთახების გაქირავებიდან (კვების გარეშე)	1,829,913	5,656,757
ამონაგები კვებიდან (ოთახის გაქირავებასთან ერთად გაყიდული კვება)	1,360,087	3,472,243

* სასტუმროს გაყიდულ ოთახების რაოდენობა / წლიურად ხელმისაწვდომი ოთახების რაოდენობაზე

** ამონაგები ოთახების გაქირავებიდან მასთან დაკავშირებული კვების ჩათვლით / გაყიდული ოთახების რაოდენობაზე;

*** ამონაგები ოთახების გაქირავებიდან მასთან დაკავშირებული კვების გარეშე / გაყიდული ოთახების რაოდენობაზე;

ამონაგების წილობრივი განაწილება 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ამონაგების სახეობები	2020	2019
ამონაგები სასტუმროს ოთახების გაქირავებიდან კვების გარეშე	43%	50%
შემამონაგები ოსავალი საკვების და სასმელის რეალიზაციიდან	48%	43%
ამონაგები სპა ცენტრიდან	4%	3%
ამონაგები გამაჯანსაღებელი მომსახურებიდან	4%	3%
სხვა	1%	1%

კომპანიის მმართველობა და სტრუქტურა

კომპანიის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს საერთო კრება, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ნებისმიერ საკითხზე კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებით. კომპანიის ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობის უფლება აქვს დირექტორს - კობა აბულაძე, რომელიც დანიშნულია სს „საპარტნიორო ფონდი“-ს მიერ. კომპანიაში მმართველობითი სტრუქტურა მოიცავს შემდეგ განყოფილებებს:



სასტუმროსა და რესტორნების გამართულად ფუნქციონირებისათვის კომპანიაში დასაქმებულია საშუალოდ 201 თანამშრომელი, შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე.

კომპანიის ხელმძღვანელობისთვის ერთერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს კომპანიაში დასაქმებულ თანამშრომლებზე ზრუნვა. გარდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებისა კომპანია ცდილობს მაქსიმალურად კომფორტული გარემო შეუქმნას მომუშავე პერსონალს. კერძოდ, ასევე ყველა თანამშრომლისთვის გათვალისწინებულია სამუშაო პერიოდის დროს საკვებითა და არაალკოჰოლური სასმელით უზრუნველყოფა. ღამის ცვლაში მომუშავე პერსონალს უზრუნველყოფას ახორციელებს კომპანია საკუთარი ძალებით.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა, კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური გუნდისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა იღებს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური განყოფილებისგან, მიმოიხილავს თავის დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

ყოველი თვის დასაწყისში ხორციელდება წინა თვის შედეგების (ADR, REVPAR, OCCUPANCY,) შემოწმება და შედარება დაგეგმილ ბიუჯეტთან. ასევ ყოველთვიურად ტარდება საკვები პროდუქტების, სასმელების და სხვა საქონლის ინვენტარიზაცია. კომპანიაში მიმდინარეობს პროცესების და პროცედურების შემუშავება. პროცესებთან დაკავშირებული რისკების გამოვლენა, შეფასება და კონტროლის სისტემის დანერგა.

სასტუმროს ძირითადი რისკებად შეიძლება განვიხილოთ:

სტუმრებისა და პერსონალის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და პირადი ქონების დაცვა, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება, მობინადრეთა და პერსონალის სწრაფი ევაკუაცია, მობინადრეთა სიცოცხლისა და პირადი ქონების დაცვა, სასტუმროში შეღწევის შეზღუდვა, ვიდეო კონტროლი, ასევე მობინადრეთა კვებასა და სასმელ წყალზე უსაფრთხოება, ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა.

რისკის მართვა:

ყოველივე ზემოაღნიშნულის მისაღწევად სასტუმროს გააჩნია 24 საათიანი ცოცხალი დაცვა. დაცვის ყველა თანამშრომელი სისტემატურად გადის ტრენინგებს, როგორც პირველადი დახმარების აღმოჩენის საკითხებში, ასევე საგანგებო სიტუაციებში მოქცევის წესების დასაცავად. სასტუმრო აღჭურვილია ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით, უახლესი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით, ასევე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან“, რათა საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს დამატებითი საპოლიციო ძალების მობილიზაცია.

სტუმრებისთვის უმაღლესი ხარისხის საკვებისა და სასმელის მისაწოდებლად კომპანია თანამშრომლობს მხოლოდ შესაბამისი სერტიფიკატების მქონე დისტრიბუტორებთან. ასევე კომპანია თითქმის ყოველდღიურად ახორციელებს სხვადასხვა დასახელების ეკოლოგიურად სუფთა უმაღლესი ხარისხის პროდუქციის შეძენა-ტრანსპორტირებას საქართველოს რეგიონიდან. პროდუქტების ხარისხის ფასდება მოწოდების დროს და მხოლოდ შემოწმების შემდეგ ხდება მისი მიღება. ასევე პერმანენტულად მოწმდება პროდუქციის ვადები. მიმდინარეობს სისტემატიური კონტროლი HACCP-ის რეგულაციების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

რისკის იდენტიფიცირება:

ასევე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესი, რაც სასტუმროსა და სარესტორნო ინდუსტრიაში შეიძლება განვიხილოთ არის კომპანიის სახელის (ბრენდი) დაცვა და უფრო მყარად დამკვიდრება, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ბაზარზე. რაც გულისხმობს პროცესის, იდეის ან იმიჯის ბაზარზე ისე წარმოდგენას, როდესაც მომსახურება და პროდუქტი უფრო და უფრო მეტი ადამიანისთვის ხდება ცნობილი და გამორჩეულად ხდება იდენტიფიცირება ამ კონკრეტული კომპანიისა.

რისკის მართვა:

კომპანიას ხელმძღვანელობა გამუდმებით მუშაობს არა მხოლოდ ბრენდის ცნობადობის გაზრდისთვის, არამედ მისი რეპუტაციისა და გარკვეული სტანდარტების დამყარებისთვის. ასე მაგალითად, კომპანია მუდმივად ზრუნავს მისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რაც გულისხმობს როგორც რესტორნებისა და სამზარეულოს პერსონალის გადამზადებას, ასევე სასტუმროს მომსახურე პერსონალის უნარ-ჩვევების გაღრმავებასა და მსოფლიოში წამყვან სასტუმრო ინდუსტრიაში არსებული სტანდარტებთან გათანაბრებას.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

ფინანსური რისკები

კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები, რომლის შესახებაც დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში, იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს.

კორონავირუსის გავრცელების პოტენციური ეფექტები

კორონავირუსის შედეგები შეიძლება იყოს ძალიან ფართოდ გავრცელებული და ბევრ ინდუსტრიას შეეხოს. კორონავორუსის გავრცელებამ განსაკუთრებით დააზიანა ტურიზმის სექტორი, რაც გამოწვეულია გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვებით და სხვა რეგულაციებით. ვირუსის ზუსტი ეფექტის განსაზღვრა კომპანიის ხელმძღვანელობისთვის შეუძლებელია, რადგან დროის მიმდინარეობასთან ერთად ვირუსის განვითარება და ეფექტი ცვალებადია. პანდემიის მიმდინარეობის არასასურველი განვითარება წარმოადგენს მნიშვნელოვან რისკს კომპანიისთვის.

კომპანიის ხელმძღვანელობამ უარყოფითი ეფექტების შემცირების მიზნით გადადგა რამდენიმე ნაბიჯი:

- ხარჯების ოპტიმიზაცია;
- საერთაშორისო ტურიზმე დაწესებული შეზღუდვების პერიოდში შიდა ტურიზმე ორიენტაცია;
- კორპორაციული შეთავაზებების გაფართოება;
- ახალი ბაზრების მოძიება ე.წ „მწვანე ზონის ქვეყნებში“.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 5 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი კობა აბულაძე

ფინანსური დირექტორი ზურაბ ანთელიძე